

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღების ერთი წლით გადავადებას ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობების მიმართ, კერძოდ, ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელთა განხორციელება დაწყებულია „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას 2010 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის) შესაბამისად.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღების ვადების ერთი წლით გადავადება ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობების მიმართ რომელთა განხორციელება დაწყებულია „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ, ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელთა განხორციელება დაწყებულია „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას 2010 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის) შესაბამისად.

კანონპროექტის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს წარმოდგენილი საკანონმდებლო აქტის ამოქმედებას 2009 წლის 1 იანვრიდან, რამდენადაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ნორმატიულ აქტს შესაძლებელია მიენიჭოს უკუძალა ამ ნორმატიული აქტით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში, და თუ იგი არ აღგენს ან არ ამძიმებს იურიდიულ პასუხისმგებლობას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ. გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
წარმოდგენილი პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
წარმოდგენილი პროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
წარმოდგენილ პროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
წარმოდგენილი პროექტი არ ადგენს რაიმე გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
წარმოდგენილი პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
წარმოდგენილი პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
წარმოდგენილი პროექტი არ არის მიმართებაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
წარმოდგენილი პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
წარმოდგენილი პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ განხორციელებულა.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:
წარმოდგენილი პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
წარმოდგენილი პროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
წარმოდგენილი პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.